572
1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1970 სექტემბერი N 9

ჯილაგი



ᲩᲥᲐᲠᲗᲘ

ᲘᲝᲠᲐᲛ ᲥᲔᲛᲔᲠᲯᲔᲚᲘᲫᲔ

ᲑᲔᲑᲘᲐ: დაიწყო, უკვე დაიწყო
ფოთლების ᲑᲖᲠᲘᲐᲚ-ᲢᲠᲘᲐᲚᲘ,
კაკლების ᲮᲠᲘᲐᲚ-ᲮᲠᲘᲐᲚᲘ,
ᲣᲠᲛᲔᲑᲘᲡ ᲭᲠᲘᲐᲚ-ᲭᲠᲘᲐᲚᲘ.

ᲒᲘᲒᲐ: მატარებელში ვზივარ და
მოვდივარ ᲒᲠᲘᲐᲚ-ᲒᲠᲘᲐᲚᲘᲗ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ემახის ზარი?

ნუნუ კერესელიძე

— ვის ემახის ბულბული?
— ვარდს.
— ვინ ემახის წყაროს?
— ზღვა.
— ვის ემახის ფუნჯი?
— ძსატვარს.
— ვის ემახის ზარი?
— დათას.

ჟირაფელქალელი

მარი აბრამიშვილი

აი, ჩემი სკოლა!
აი, ჩემი კლასი!
ჩქარა, ჩქარა, ჩქარა
ახალ მერხზე დამსვით.
მეეო, მეეო უკვე
თამაში და რბენა,
კულში ჩავიხუტე
ჩემი „დედა-ენა“.

ნახატები თენგიზ სამსონაძისა

11.31 6

ბუცა

გიორგი პაპუაშვილი

ნახატები ზურაბ მეძმარიაშვილისა

ძია რეზომ ისეთი თეთრი ბატკანი მოუყვანა პაატას, თვალი ზედ დაგრჩებოდათ. მარტო ყბები ჰქონდა შავი. ასეთ ბატკანს ყბაშავას ეძახიან. პაატამ კი ბუცა შეარქვა, რადგან რქები ექავებოდა და ყველას ებუცავებოდა.

— ძალიან გონიერია ეს ბატკანი,—თქვა ძია რეზომ,—წერა-კითხვა არ იცის, თორემ ყველაფერი ჭკვიანი ბავშვივით ესმის; არც სხვის ეზოში გადახტება დაუკითხავად და არც უთავბოლოდ აბღავლდება. ვნახოთ, როგორ მოუვლის ჩვენი პაატა.

მეორე დღეს პაატამ ბატკანი მინდორში წაიყვანა. საითაც პაატა წავიდოდა, ბატკანიც იქით მიჰყვებოდა, მიკუნტრუშებდა და მოკუნტრუშებდა.

— რა კარგი ბატკანია!—ახმაურდნენ მეზობლის ბალღები და იმავე დღეს დაუმეგობრდნენ ბუცას.

ბიჭები რომ ბურთს თამაშობდნენ, ბუცაც იქვე იწვა და იცოხნიდა. ზოგჯერ კი ისიც ბურთს გამოეკიდებოდა ხოლმე. მაშინ უნდა გენახათ გოგო-ბიჭების ჟრიამული:

— მიდი, ბუცა!

— აქეთ, აქეთ... დაარტყი!

ღამ-ღამობით ბუცას ცარიელ საქათმეში ამწყვდევდნენ. პაატას სკოლიდან მოსვლამდე ბატკანი საქათმის წინ შემოღობილ ეზოში დასეირნობდა. მერე კი ისევ მინდორში დახტოდა ბიჭებთან ერთად. ისე, არც საქათმეში აკლდა საჭმელი, მთელი უბნის ბალღები ბღუჯა-ბღუჯა უგლეჯავდნენ ბალახს და უყრიდნენ.

ერთხელ მამამ ფერმიდან ვარიები მოიყვანა. დედამ თქვა, ბუცა გარეთ გამოვაგდოთ და შემოღობილში ვარიები დავამწყვდიოთო, ეწყინა პაატას:

— მამილო, ვარიებმა და ბატკანმა ერთად რომ იცხოვრონ, მაგით რა დაშავდება?!

— ბატკანი დახოცავს და ეგ იქნება.— თქვა დედამ.

— აკი, წერა-კითხვა არ იცის, თორემ ყველაფერი ჭკვიანი ბავშვივით ესმისო! რატომ უნდა დახოცოს?—არ ასვენებდა პაატა.

— მოდი, ვცადოთ,—თქვა მამამ,—ვარიები ბუცასთან შევრეკოთ და ვნახოთ, რა მოხდება.

ბუცას პირველად გაუკვირდა ვარიების დანახვა. დააშტერდა, მერე ნაბიჯიც გადადგა მათკენ, მაგრამ რაკი ვარიები დაწიოკდნენ, გაჩერდა და ისევ ბალახის ჭამა განაგრძო.

— ნახეთ, რა გონიერია! არაფერი დაუშავა!—თქვა მამამ.

— ხომ გითხარი!—გაუხარდა პაატას.

დედამ ვარიებს საკენკი დაუყარა, მაგრამ ვარიები ფეხსაც არ იცვლიდნენ, ღობის ძირას მიყუჟულიყვნენ. ბუცა ისევ ბალახს ჭამდა, ყურადღებას არ აქცევდა შეშინებულ ვარიებს.

ვარიები გათამამდნენ. ჯერ ერთმა გაბედა საკენკთან მისვლა, მერე—მეორემ, მერე—მესამემ. მალე ისე წაესივნენ საკენკს, აღარც ახსოვდათ ბუცა, სულ ერთიანად აკენკეს ყველაფერი. გათამამებულებმა სეირნობაც დაიწყეს. ერთი ყელტიტველა ვარია ბუცას მიუახლოვდა და შეჩერდა... მერე რაღაც გადაუკაკანა თავის და-ძმებს. ეს იყო და, ვარიებიც მოცვივდნენ: ჯერ ერთმა მოიტაცა ბალახის ღერი, მერე—მეორემ, მერე—მესამემ, ატყდა ერთი წიწკნა-გლეჯა.

იმ დღიდან ვარიები და ბუცა დამეგობრდნენ, ბალახსაც ძმურად შეექცეოდნენ და საკენკსაც.

ერთ საღამოს უეცრად სეტყვამ წამოუშინა, წამოვიდა, მაგრამ რა წამოვიდა, სულ კაკლისოდენებს ყრიდა.

— ვაიმე, ვარიები!—დაიძახა დედამ.

ყველანი ფანჯარას მიაწყდნენ, მაგრამ არც ბუცა ჩანდა და არც ვარიები.

მამამ ბრეზენტი წამოიხურა და საქათმეს მიაშურა. მყუდრო მხრიდან, სადაც სეტყვა სულაც არ ხვდებოდა, ბატკანი საქათმეს მიჰხუტებია, ქვეშ კი წიწილებივით შესხდომიან ვარიები.

ასე გადაარჩინა ბუცამ თავისი მეგობრები.



რატომ?!

მორის ფოცხიშვილი

ნახატები დიმიტრი ზარაფიშვილისა

ღორს ბაღჩაში არ უშვებენ,
ზოგს ჰგონია, ჭორია...

— ნეტა, რატომ არ უშვებენ?
— იმიტომ, რომ ღორია!

ქორს წიწილს არ აკარებენ,
რაც სწორია, სწორია...

— მაინც რად არ აკარებენ?
— იმიტომ, რომ ქორია!

— მგელზე ყველგან ნადირობენ,
ტყე არის თუ ველია...

— მგელზე რატომ ნადირობენ?
— იმიტომ, რომ მგელია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საჩუქარი

სერგეი ანგონოვი

ნახატები ი. პრაგერისა

ერთხელ ლენინი სოფლად გლეხების კრებას დაესწრო. მოსკოვში რომ ბრუნდებოდა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა და ვლადიმერ ილიას ძემ თედორე დურგალთან შეაფარა თავი.

ნავთის უშოვრობა იყო და დურგალს კვარი ენთო. იქაურობა სულ ჭვარტლსა და ბოლში იყო გახვეული.

ლენინი კვართან მივიდა და თავი გადააქნია.

— ცოტა კიდევ უნდა მოვითმინოთ, — თქვა მან, — ასეთ კვარს ათასი წლის წინათ ანთებდა ხალხი, მაგრამ არაფერია, ჩვენც გვექნება ელექტროშუქი. სულ მალე ელექტროსადგურის მშენებლობაში დაგეხმარებით. მგონი, მდინარე ახლოს უნდა გქონდეთ, არა?

— მდინარე აქვეა, ვლადიმერ ილიჩ, — მიუგო თედორე დურგალმა.

— ჰოდა, პატარა ჰიდროსადგური გექნებათ, მერე დიდ სადგურებსაც ავაგებთ დნეპრზე, ვოლგაზე...

უეცრად ნახშირად ქცეული კვარი როფში ჩავარდა. ოთახში ჩამობნელდა.

— ოჰ, — შეწუხდა მასპინძელი და დიასახლისს გადაულაპარაკა: — ასანთი არა გაქვს?

ყველა ასანთის ძებნას შეუდგა.

— ასანთი არც მე მაქვს, — თქვა ლენინმა.

— ბედი არ უნდა? რაღა ახლა ჩაქრა კვარი! ვლადიმერ ილიჩ, მოგვიტევეთ, გეთაყვა! — შეწუხდა ოჯახის პატრონი.

— ეს ჩემი ბრალია, თედორე ივანეს ძევ. ელექტროშუქზე ლაპარაკით გაგაბრუეთ და ჭრაქი კი დაგვავიწყდა.

ოჯახის უფროსს გულზე მოეშვა.

— დნეპრზე, ვოლგაზე... — იმეორებდა იგი. — ისე გამოდის, უნდა დავაგუბოთ მდინარეები არა, ვლადიმერ ილიჩ?

— დავაგუბებთ, ჩვენი შვილები სულ სინათლეში იცხოვრებენ.

ამასობაში დიასახლისმა მეზობლიდან ასანთი მოიტანა და კვარი აანთო. მერე თუჯის ქვაბით შჩი შემოიტანა და მათლაფებზე დაასხა.

— არა, არა, მე არ მინდა, — იუარა ვლადიმერ ილიას ძემ. — თუმცა... მხოლოდ ერთი ჩამჩა... — გააფრთხილა დიასახლისი.

ყველა ჭამას შეუდგა.

— რამდენი სული ხართ? — ოთახი მოათვალიერა ვლადიმერ ილიას ძემ.

— შვიდნი, — მიუგო მასპინძელმა.

— შვიდი სული არც ისე ბევრია, მაგრამ არც ცოტაა... ასეთ პირობებში ძნელია ოჯახის გაძღოლა. — და, ლენინმა ისევ მოათვალიერა იქაურობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეჩუქურთმეც ხართ? — იკითხა ლენინმა, მოჩუქურთმებულ კარადას რომ მოჰკრა თვალი.

— ჰო, ცოტ-ცოტა ეგეც მეხერხება! მაგრამ ახლა ჩუქურთმისათვის ვისა სცალია.

ამასობაში მძღოლი შემოვიდა:

— ვლადიმერ ილიჩ, გზა მიმასწავლეს, შეგვიძლია წავიდეთ.

მეორე ოთახიდან გრძელპერანგა ბიჭი გამოვიდა, ხის ცხენი გამოიტანა. ეტყობოდა, მამამისის ნახელავი იყო.

— ოო, — ბიჭუნას ძველი ნაცნობივით შეეგება ლენინი, — ეს შენი ცხენია?

ბიჭმა თავი დაუქნია.

— წიგნები თუ გაქვს? — ჰკითხა ლენინმა.

— არა მაქვს. მე და ჩემს მეზობელ მიშკას საზიაროდ გვიყიდეს.

— რომელ კლასში ხარ?

— მეორეში.

— გამოგიგზავნი! რა გქვია, ბიჭიკო?

— პეტრე.

— პეტრე თედორეს ძე, არა? ძალიან კარგი.

ლენინი წავიდა.

ერთხელ სოფლის შარაზე მანქანა გამოჩნდა.

— პეტრე თედორეს ძე რომელია? — ჰკითხა მძღოლმა თავმოყრილ ბავშვებს.

პეტრე ბიჭებს გამოეყო.

მძღოლმა წიგნების შეკვრა გაუწოდა:

— ძია ლენინმა გამოგიგზავნა.

ბავშვები პეტრეს შემოეხვივნენ. ყველას უნდოდა ენახა ძია ლენინის საჩუქარი.

თარგმნა **ლეილა ერაძემ**



ნელი და თეო

აკაკი გელოვანი

— რად არა ვარ ფისუნია! —
ეუბნება ნელის თეო: —
წამოვკოტრიალდებოდი,
ვიძინებდი მთელი დღეო!

ნელიმ უთხრა: — სჯობს ისწავლო,
რომ არ იცი ანის წერა!
გოგო, შენ რომ ფისო იყო,
შეძლებ განა თაგვის ჭერას?

ყველამ ნელის დაუმოწმა
და თეომაც დაიჯერა:
— ჩვენი საქმე არის სწავლა,
კატის საქმე — თაგვის ჭერა.

ნახატი **ლამარა ღანელიასი**

კაპიტან მარწუხას ოვგვალესული



1. კაპიტანი მარწუხა ერთ მდინარეში ცხოვრობდა.

2. ერთხელ იჯდა თავისივე ნახელავ წყალქვეშა ნავში და პერისკოპით, თვალყურს ადევნებდა მდინარეს.

3. დაინახა, მდინარეს მკვდარი თევზები მოჰქონდა.







4. მარწუხა მიხვდა, ბოროტი ბრაკონიერები თევზებს დინამიტით ხოცავენო და იქით გასცურა.

5. უცებ ფსკერზე პატრუქიანი დინამიტი გამოჩნდა.

6. გამოჩნდა მეორე დინამიტი, მესამე... მარწუხამ ყველა პატრუქები გადაჭრა.



7. ბრაკონიერები ხახამშრალნი დარჩნენ.

8. გახარებული მარწუხა მხიარულად გამობრუნდა უკან.

9. ამ დროს წყალმცენარეებიდან უზარმაზარი, ლიფსიტების მტერი, შავი ღლავი ამოვარდა და ნავს გამოუდგა.

10. კაპიტანმა გვიან შენიშნა ღლავი.

11. ღლავმა ბოლო დასცხო წყალქვეშა ნავს.

12. დაზიანებული წყალქვეშა ნავი ფსკერისაკენ დაეშვა.





13. მარწუხა ნავიდან გამოცურდა და ღორმუცელა ღლავს შიგ ხახაში ესროლა წყალქვეშა თოფი.

14. გაბრაზებულმა დაჭრილმა ღლავმა კაპიტანი გაიტაცა.

15. ბედად შენიშნა, იქვე უმაწვილები თევზაობდნენ და ანკესს ჩაეჭიდა.

16. ბავშებმა ანკესი ძლივს ამოზიდეს.

17. მარწუხამ ნადავლი ძღვნად მიართვა პატარა მეთევზეებს.

18. კაპიტანი მარწუხა ბავშვებს გამოემშვიდობა და ნავის შესაკეთებლად ფსკერზე დაეშვა.

ტექსტი და ნახატები ედ. ამბოკაძისა

ბაჯი-ბუჯა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ. გოგიაშვილი

ნახატი თამაზ ხუციშვილისა

თეთრი ბატი, ბატი-ბუტა
ძამლაეინწას გაებუტა:
რად იქცევი აგრეო,
რად მაღვიძებ ადრეო!—
დაუძახა ძამლაეინწამ
ვარიკელა ნაცარას,
მოტანტალე იხვუნიას
თხა-ბაკუნა ცანცარას.

ინდაურმაც მოირბინა,
თქმა არავის აცალა:
— რა ამბავი, ძამალო?
— გეტყვით, რალა დავმალო.
ამისირდა ბატი-ბუტა,
ხმას ადარ მცემს, გამებუტა;
რად იქცევი აგრეო,
რად მაღვიძებ ადრეო.
შენს ეივილზე ეზოში
ეველა ადრე დგებაო,
ვითომ რაო, უშენოდ
ადარ გათენდებაო?¡—
ალოელოდა ინდაური,
ავახვახდა იხვი,
მიაძახეს ბატი-ბუტას:
— ბრიეკი, ბრიეკი, ბრიეკი!
თეთრი ბატი ძილისგუდა
ჩაჩუმდა და გაიგუდა.
ვეღარ იღებს ხმას,
ან რა უნდა თქვას,
დააეარეს სიცილი:
— ბატი-ბუტას სირცხვილი!

საყვარელი საქმიანობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მ. ზოშჩენკო

ნახატი ზურაბ ქაპანაძისა

მასწავლებელმა მოსწავლეებს ჰკითხა:

— აბა, მითხარით, ვის რა გიტაცებთ?

პავლიკის გარდა, ყველამ თითი ასწია: ზოგმა თქვა—ფოტოგრაფიაო, ზოგმა—შაშიო, ზოგმა—ჰადრაკიო.

პავლიკმა კი ჩუმად ჩაიღაპარაკა:

— ვერ ვიტყვი, მასწავლებელო, ამხანაგები სასაცილოდ ამიგდებენ...

— ყურში მითხარი.

პავლიკი მასწავლებელთან მივიდა და რაღაც უჩურჩულა.

— ბავშვებო—თქვა მასწავლებელმა,—პავლიკს კერვა ყვარებია. ეს ძალიან კარგია და საქები.

ერთმა მოსწავლემ წამოიძახა:

— კერვა ხომ გოგოების საქმეა!

— სრულიადაც არა. არიან მკერავი მამაკაცები და მათ შორის სახელგანთქმული ოსტატებიც. ეს ჩინებული პროფესიაა, ცხოვრებაში გამოგადგებათ.

ერთი მოსწავლე წამოდგა:

— წელან ტყუილი გითხარით... შაშის თამაში ჭირივით მეჯავრება, მეც კერვა მიყვარს.

მეორემ დაუმატა:

— მეც ტყუილი ვთქვი, ოთახის დალაგება მიყვარს.

კლასში ყველას გაეცინა, ვილაცამ დაიძახა:

— მეეზოვე გამოვა, მე...

მასწავლებელმა შეაჩერა:

— მეეზოვის შრომა დასაცინი არ არის. ჩვენ ყოველგვარ შრომას ვაფასებთ. ფედიას რომ სისუფთავე უყვარს, განა ეს ცუდია?!

თარგმნა პაპუნა წერეთელმა

11.316

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუჭკა-კიჭკიჭველას საკეჭრო

თხილის ღვრიალა

ვახტანგ ქახაძე

ერთხელ კურკა-კირკიტელა გზაჯვარედინთან იჯდა და გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებდა.

ორლობიდან კიკო და კაკო გამოვიდნენ.

— კნატ, კნუტ!.. კნატ, კნუტ!—ამტვრევდნენ თხილს.

კურკას დანახვა ორივეს გაუხარდა. ორივემ გულუხვობა გამოიჩინა, გაიკრეს ჯიბეს ხელი და თითო მუჭა თხილი ერთმა ერთ ჯიბეში ჩაუჩხრიალა კურკას, მეორემ—მეორეში.

კიკომ ესეც დაატანა:

— შენ ისეთი ბიჭი ხარ, არ მოისვენებ, რაიმე სათამაშოს თხილიდანაც გააკეთებო.

კურკამ იფიქრა, იფიქრა და ბოლოს თხილის კნატ-კნატუნით თქვა:

— რატომ არ გავაკეთებდი, ოთხი მტკაველა ძაფი რომ მომცაო.

— ა, კაცო, აგერ ანკესისთვის იმოდენა კვიტიტა მაქვს, ოთხი კი-არა, ათი მტკაველიც იქნებაო...

კურკამ ეს რომ გაიგო, ბევრი არ უფიქრია, ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო და საქმეს შეუდგა.

თხილის თავში ერთი ღრუ ამოღრუტნა, ბოლოში—ორი. მერე ძაფი აიღო, მაგრამ...

— უჰ, სულ დამავიწყდა, უნემსოდ არაფერი გამოვა!—თქვა გულდაწყვეტილმა კირკიტელამ.

კაკო არ დაიბნა. თედორე ხარაზთან გაიქცა და ნემსიც მოურბენინა. კირკიტელამ ხელად ააგო ძაფი, თავიდან ბოლო ნახვრეტში გაატარა, ძაფი შეაბრუნა და იქვე, მეორე ნახვრეტში გაუყარა, მერე ისევ თავში ამოუტარა. მერე თხილი ძაფზე გაასაშუალა, ორი მტკაველი ძაფი იქით დატოვა, ორი—აქეთ და ბოლოები გაუნასკვა. ძაფის ერთი ბოლო მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე მოირგო, მეორე—მარცხენაზე. მერე იმდენი ატრიალა თხილიანი ძაფი, სანამ კარგად არ დაიგრიხა. ახლა დაჭიმა ძაფი, დაჭიმა და შეუფოლხვა, გასწია და გამოსწია... მოჰყვა თხილი თავბრუდამხვევ ტრიალს და ღვრიალაც ახმაურდა—ღვრვვ-ღვრრ... ღვრ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დოდის ცხენები

ედიშერ ყიფიანი

ნახატები ზურაბ ფორჩხიძისა

როცა ირინე სკოლიდან დაბრუნდა, თავისი ორივე თოჯინა გაწუწული დახვდა.

— გვცხელოდა და ვიწუწავეთ! — თქვეს თოჯინებმა.

— ახლავე ტანთ გაიხადეთ! — გაბრაზდა ირინე, — გაცივდებით და მერე თქვენი მოვლის თავი არა მაქვს.

ირინემ მათი კაბა და ხალათი აბაზანაში გაიტანა, ბარემ გავრეცხავო, და ონკანი ბოლომდე მოუშვა, ტიტლიკანა თოჯინებმა კი თავთავიანთ საწოლებს მიაშურეს და საბნები წაიხურეს, მართლა არ გავცივდეთო.

— ახლავე გაგიუთოებთ! — დაამშვიდა ისინი ირინემ და ელექტროუთო ჩართო.

ამ დროს ქუჩიდან ბავშვების ყივილ-ხივილი მოესმა, გაიხედა ფანჯარაში და ცხენები დაინახა, მითამაშობდნენ ცხელ ასფალტზე მორთულ-მოკაზმული, კისერმოღერებული წითელი ცხენები და კუდებს აქეთ-იქით აქნევდნენ, ცხენებს უკან მთელი უბანი დასდევნებოდა.

— დოდის ცხენები! — წამოიძახა ირინემ და თავქუდმოგლეჯილი ოთახიდან გავარდა.

ლოგინში ჩაფუთვნილი თოჯინები დიდხანს ელოდნენ ირინეს, მათაც უნდოდათ ჩაეცვათ და ქუჩაში გავარდნილიყვნენ. თავები წამოყვეს და რას ხედავენ — აბაზანიდან გადმოღვრილ წყალს მთელი ოთახი დაეფარა, ირინეს ფეხსაცმელები და წინდები აეტივტივებინა. შეშინებული წამოცვივდნენ და მაგიდაზე აცოცდნენ. წყალი სწრაფად იწევდა მაღლა.

— დავიღუპე, მე ხომ ცურვა არ ვიცი, — ატირდა ლალი, ოქროსთმიანი დედოფალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ჩაიძირები, წყალი აგატივტივებს, — გაამხნევა გოჩამ, შავთმიანმა თოჯინამ.

— ეჰ, ისე ვკვდები, რომ დოღის ცხენები უნახავი მრჩება, — მოუმატა ტირილს ოქროსთმიანმა ლალიმ.

წყალს უკვე დაეფარა სკამები და მალე მაგიდაზეც ამოაღწევდა. გოჩა გაფითრდა: კი არ შეეშინდა, ლალი შეებრალა, რომელიც შეიძლება ისე მომკვდარიყო, დოღის ცხენები ვერ ენახა. განა შეიძლება გაჩნდეს ამ ქვეყნად ვინმე და ისე მოკვდეს, დოღის ცხენები ვერ ნახოს? ეს უსამართლობა იქნება. „რაც მომივა, მომივა, უნდა ჩავკეტო ონკანი, — გადაწყვიტა გოჩამ, — იქნებ დავიღუპო, მაგრამ ლალი ხომ ნახავს დოღის ლამაზ, ქარივით სწრაფ ცხენებს“...

ის იყო უნდა ესკუპა წყალში, რომ ამ დროს გაისმა საზარელი შიშინი და ოთახი ერთბაშად ორთქლით გაიბურა, კვლავ გაისმა შიშინი და ისევ ავარდა ორთქლის ბოლქვები ჭერისკენ. განცვიფრებულმა გოჩამ და ლალიმ ახლაღა შეამჩნიეს მაგიდაზე წითლად გავარვარებული ელექტროუთო. ამოაღწევდა თუ არა წყალი უთომდე, მაშინვე შხუილით ორთქლდებოდა და კვლავ დაბლა იწევდა. ისევ და ისევ, ისევ და ისევ.

— ვაშაა! — წამოიძახეს თოჯინებმა, — გადავრჩით! — მაგრამ იმ ორთქლში ერთმანეთი ვეღარ დაინახეს და ამიტომ ხელის ჩამორთმევით ვეღარ აღნიშნეს ეს სიხარული. ახლა სული ეხუთებოდათ, ოფლში იწურებოდნენ.

— მოვიფიქრე! — წამოიძახა გოჩამ, ფეხისწვერებზე აიწია და თითებით პატარა სარკმელს დაუწყო ძებნა, რომ გაეღო.

— შშხხუუ! — დაიშხუილა უეცრად ორთქლმა, სარკმელიდან გავარდა, როგორც ორთქლმავლის ქვაბიდან, და თოჯინებმა იგრძნეს, როგორ ატივტივდა ოთახი, როგორ აიწია და გაფრინდა. სარკმელი აღმოსავლეთ მხარეზე იყო გაღებული, ოთახი კი დასავლეთით მიფრინავდა, თან სულ მაღლა და მაღლა იწევდა.

— ნუ გეშინია! — შესძახა გოჩამ ლალის და ხელი ჩასჭიდა, რომ არ წაქცეულიყო, — ჩვენ ორთქლის ძალას მივყავართ... ხედავ, ლალი, ქვემოთ ცხენებს? აი, უკვე იპოდრომზე შეჭყავთ.

ლალიმ ფრთხილად გაახილა თვალები, მაღლიდან გადაიხედა და თეფშისოდენა მწვანე მოედანზე მართლაც დაინახა ბუზისოდენა ცხენები.

— მოდი, ნუღარ დავბრუნდებით, ეგ ირინე სულ არ გვიფრთხილდება, — თქვა ლალიმ, რადგან ძალიან მოეწონა ჰაერში ფრენა და, რა თქმა უნდა, დოღის ცხენებიც.

— არა, უნდა დავბრუნდეთ, ირინე, სულ ერთია, მაინც არ დაიჯერებს, ოთახი რომ სადღაც გაქრა.

— ჰო, მართლაც... თან გაკვეთილები აქვს დასამზადებელი.

გოჩამ აღმოსავლეთის სარკმელი დახურა, დასავლეთისა კი გააღო. ახლა ორთქლი მოპირდაპირე სარკმელში გავარდა და ოთახი უკანვე გამოფრინდა.

მაღლიდანვე თვალი მოჰკრეს თოჯინებმა — ირინე იდგა მეზობლის ბინებს შორის ცარიელ ადგილზე და აქეთ-იქით იყურებოდა, უკვირდა, სად გაქრა ჩემი ოთახიო, თან ეტყობოდა, სადაცაა ტირილს დაიწყებდა.

გოჩამ ისე დაუმიზნა ღია კარი გაოცებულ გოგოს და ისე დასვა თავის ადგილზე მფრინავი ოთახი, რომ ირინე პირდაპირ შიგ აღმოჩნდა.

— რა მოხდა? — წამოიძახა ირინემ, როცა სველ იატაკზე ფეხი გაუცურდა.

— არაფერი, — გოჩას ხმაში ძნელად შესამჩნევი დაცინვა გამოერია, — ონკანსა და უთოს დოღის ცხენების ნახვა მოუნდათ და ამ ოთახით დაედევნენ.

ჯანი როდარი

ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოკოლადის გზა

იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმა, თავის დღე და მოსწრება სულ ერთ ქალაქში ცხოვრობდნენ. ერთხელ ქალაქგარეთ გაისეირნეს და უცაბედად უცნაურ გზას წააწყდნენ. გზა სულ მთლად სწორი და ყავისფერი იყო.

— რისი გზაა ნეტავი?! — იკითხა უმცროსმა ძმამ.

— ფიცრისას არა ჰგავს, — უპასუხა შუათანამ.

— ხრეშისა ხომ არ არის და არა, — თქვა უფროსმა.

კარგა ხანს იმკითხავეს, მერე სამივენი მუხლებზე დადგნენ და გზა დაყნოსეს, შოკოლადის სუნი ეცათ! აუსვეს ენა და, ღმერთო ჩემო, — გზა შოკოლადისა იყო!

ბევრი აღარ უფიქრიათ, მოდი, გემო გავუსინჯოთო და გზას პატარა მოატეხეს. თაფლივით გემრიელი იყო.

დადგნენ და დაიწყეს ჭამა: მოატეხეს და შეჭამეს, მოატეხეს და შეჭამეს... მანამ იტკბარუნეს პირი, სანამ გზა სულ არ შემოეჭამათ.

მიიხედ-მოიხედეს და აღარც შოკოლადი იყო, აღარც გზა. კიდეც მოსაღამოვებულიყო.

ძმები შეშინდნენ, აღარ იცოდნენ, რა ექნათ, საით წასულიყვნენ. იღბლად ურმიანმა გლეხმა ჩამოიარა, დასხა ბიჭები ურემზე და ქალაქში მიიყვანა, ზედ სახლის წინ ჩამოსხა.

ურმიდან
რომ ჩამოვიდნენ,
ბიჭებმა ახლაღა დაინახეს —
ურემი ხისა კი არა ნაზუქისა იყო.
— ამას რას ვხედავთო! — სიხარულით
შესძახეს ძმებმა და ურემს ჭამა დაუწყეს.
კარგა ხანს იღმურძლებოდნენ, თვლებიცა და
ხელნებიც კი შესანსლეს.
აი, როგორ გაუღიმა ერთხელ ბედმა ძმებს.

თარგმანი გურამ გოგიაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასოანბანი

გამოცანა

პაწაწინა ნიანგს მოჰგავს,
კლდეზე ცოცვა არ ბეზრდება,
გრძელ კუდს ხელში შეგატოვებს,
იცის, მაინც გაეზრდება.

ბიორგი ნარეთელი

ნოდარ შამანაძე

მოცეკვავე

მიირბინა პაპასთან
კოხტა გოგომ, პაწიამ,
უცბად ხელი დაკვანწა,
თავი დაბლა დასწია.
პაპაც გამოეცეკვა:
— კვანწი გოგო, კვანწიო!
უგუნებოდ ვიყავი,
გამახარე კაცო.

მესროველი

ნაირა ნიჟარაძე

ოეთრ ლუნლულა ბატულს,
ფისო რთავს და რთავს,
— გეს ბოუშოვს წინდას?
— პაწაწინა ცინდალს!

ენის გასაცეხი

ტყუპი ტყლაპი ტყავზე დავდე.

ხალხური



რით განსხვავდება ეს გემები ერთმანეთისაგან?

თავსატეხი





ეროვნული ბიბლიოთეკა

შეავსეთ ცარიელი უჯრედები საქართველოს ქალაქების სახელებით.

შეადგინა ქარელის რაიონის, სოფ. დირბის საშ. სკოლის მოსწავლემ **ნელი ბლიაძემ.**

რებუსი



შეადგინა საბერიოს საშუალო სკოლის მოსწავლემ **მედეა არონიამ.**

მთავარი რედაქტორი **მუხრან მამაკავარიანი**

სარედაქციო კოლეგია: **აუკური ბოგვიანოვი, ლეილა ერაძე, ჯემალ ლოლუა, ზურაბ ლოლიძე, მაია ბალა, მრევლიშვილი, ეროვ ძერძელიძე** (პ/მგ მდივანი), **შალვა ცხადაძე** (სამხ. რედაქტორი), **ბეჟან ძნელაძე**

ხალ. ოლკ. ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეროვნული უფროსი **ნასატი თ. ხამსონაძისა** გამოცემის 48-ე წელი. ტექრედაქტორი **გ. რიბინოშვილი**

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15, პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

ბეჭდვა ასაწყობად 29/V-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/VIII-70 წ. ფორმატი 60×90¹/₈ ფიზ. ნაბ. ფურცელ. 2,5, ტირაჟი 140000. შეკვ. № 1757. „Дила" № 9. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.

ხალ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

ხანაპიროზე—ნახატი თამარ წერეთლისა, 8 წ. ლანჩხუთი.
ჩემი სკოლა—ნახატი ფიქრია მეგრელიშვილისა, 8 წ. სამტრედია.
იალქნიანი გემი—ნახატი ირაკლი მჭედლიშვილისა, 8 წ. თბილისი.
ზღვის ფსკერზე—ნახატი გიორგი ცინცაძისა. 6 წ. თბილისი.
გოგონა უვავილებით—ნახატი მზია დიდმანიძისა, 6 წ. ბათუმი.
ჩვენი ბალი—ნახატი ნინო თომაძისა, 8 წ. თბილისი.
მოტოროლერი—ნახატი ბექა მაჩაიძისა, 9 წ. თბილისი.





76055